პარანოიდული აზროვნება, როგორც დანაშაულებრივი ქმედების წინაპირობა

ეკატერინე არაბიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი: ქეთევან მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პარანოიდული აზროვნების კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასთან. პარანოიდულ აზროვნებისა, არა როგორც კლინიკური სიმპტომის, რომელიც მძიმე ფსიქოზური რეგისტრის დაავადებებისთვის არის დამახასიათებელი, არამედ, როგორც უფრო მსუბუქი ფორმის, რომელიც კონტინიუმის ჯანმრთელი პოპულაციის ბოლოსკენ არის და ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს განცდებსა და ქცევაზე. კვლევაში მონაწილეობდა 85 ადამიანი, მათ შორის, 50 საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენელი, ხოლო 35 სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებული პირები. ეს უკანასკნელი ჯგუფი ასევე დაყოფილი იყო სამ კატეგეორიად, მძიმე ფორმის დანაშაული, მსუბუქი ფორმის დანაშაული და სექსუალური სახის დანაშაული. კვლევაში გამოყენებული იყო გრინის პარანოიდული აზრების კითხვარი (Green Paranoid thought Scale ((GPTS)). კვლევას ჰქონდა რამოდენიმე ძირითადი შედეგი. შედეგებით დადასტურდა რომ კრიმინალურ ჯგუფს აქვს შესამჩნევად მაღალი მაჩვენებლები პარანოიდული აზროვნებისა არაკრიმინალურ ჯგუფთან შედარებით. არაკლინიკური ჯგუფისათვის სოციალური დამოკიდებულებების აზრების სკალაზე მიღებული საშუალო ქულის მაჩვენებელი მაღალია პერსიკუტორული აზრების მაჩვენებელზე; ხოლო კრიმინალურ ჯგუფში ფიქსირდება საპირისპირო შედეგი; ასევე არაკლინიკური ჯგუფისთვის სოციალური დამოკიდებულებების აზრებში სხვა განზომილებებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა დისტრესს. სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა გაუპატიურებასა და სხვა სექსუალური სახის დანაშაულისთვის ბრალდებულ პირებში, რის საფუძველზეც ვასკვნით, რომ არსებობს ასევე კავშირი დანაშაულის ფორმასა და პარანოიდულ აზროვნებას შორის.

სარჩევი

შესავალი 1

ლიტერატურის მიმოხილვა 5

კრიმინალური ქცევის განმარტება 5

პარანოია - ტერმინის განვითარების ისტორია 11

რა არის პარანოია 14

მეთოდი 22

მონაწილეები 23

პროცედურა 23

ინსტრუმენტები 23

მონაცემების დამუშავება 23

შედეგები 24

შედეგების ანალიზი 27

დასკვნა და რეკომენდაციები 38

გამოყენებული ლიტერატურა 30